# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— ოთხშაბათი, 26 ივლისი 1900 წ. № 1192

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ

„ცნობის ფურცლის“

დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.

## წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**24 ივლისა**

**ტიანცზინი.** 17 ივლისი. 2000 რუსი და იაპონელი წავიდნენ პეიცმიანისაკენ საზვერაოდ და ნახეს, რომ მტერი ძრიელ გამაგრებულა. ნუნცძიანში, პეიცმიანიდან 3 მილის სიშორეზე, იაპონელებმა სროლა დაუწყეს ზარბაზნებიდან. მტრის არტილერიას პასუხი არ გაუცია; ფიქრობენ, რომ ჩინელების ზარბაზნები პეიცძინშია, სადაც პოზიცია ბევრად უკეთესია, ვიდრე ნუნცძიანში. ნუნცძიანში უნდა იყოს 5000 ჩინელი. თოფებიდან მტერი მარჯვედ ისროდა, და თუ ადგილის განსაკუთრებული მდებარეობა არა, ზარალი დიდი იქნებოდა. იაპონელებს სამი მოუკლეს და 25 დაუჭრეს. გალაშქრებისათვის მზად არიან. იაპონელი ჯარები წავიდნენ ხსინისაკენ.

**ბელგრადი.** გამოცხადებულია ჯილდოები როგორც სამხედრო პირებისათვის, ისე ადმინისტრაციისათვისაც. ყველა მინისტრებმა მიიღეს მილოშ დიდის ორდენი. გამოცხადებულია ამნისტია, რომლითაც ბევრ პოლიტიკურ და სხვა დამნაშავეებს შეუმცირდათ სასჯელი. სრულებით განთავისუფლდნენ სასჯელისაგან რადიკალი ტაუშანოვიჩი და პროტიჩი.

**შანხაი.** ხმა ლიხუჩანგის მოკვლის შესახებ არ მართლდება. სეიმური დაბრუნდა ნანკინიდან. ერთ უცხოელს, რომელიც ვერანდაზე იჯდა, ჩინელებმა ესროლეს სამი ტყვია, რომლითაც გახვრიტეს წიგნი, რომელსაც უცხოელი კითხულობდა. ჩინელი ჯარები მიდიან ჩრდილოეთისაკენ იმ პროვინციებიდან, სადაც ჯერ უცხოელებს კარგად ეპყრობიან.

**ტიანცზინი.** 18 ივლისის გადაწყვეტილება შეერთებული ჯარების პეკინისაკენ გალაშქრების შესახებ 19 ივლისს გამოსცვალეს. როგორც იტყობინებიან, იაპონელები და ამერიკელები იმ აზრისანი არიან, რომ საჭიროა მოუცადონ დამხმარე ჯარების მოსვლას. რუსები და ფრანგები დაეთანხმნენ ამ აზრს. ინგლისს კი ეხლავე უნდა წინ წავიდეს, მაგრამ მას მხოლოდ 3000 ჯარის-კაცი ჰყავს და არ შეუძლია სისრულეში მოიყვანოს თავისი სურვილი.

**შანხაი.** პეკინში ხოიურინჩენის დასჯამ იმდენად გაამხნევა უცხოელების წინააღმდეგი ჯარი, რომ ტაოტამ შენმა ინგლისის კონსულს სთხოვა მფარველობა, რომელიც მას აღუთქვეს კიდეც.

**ჩიკაგო.** გუშინ აქ ანარხისტებს შეტაკება მოუვიდათ პოლიციელებთან; უკანასკნელები მკაცრად მოეპყრნენ 25 ანარხისტს. 5 კაცი დატუსაღებულია, ამათ რიცხვში ამას წინეთ ჩიკაგოში სიკვდილით დასჯილის პარსონსის ცოლიც.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ ცინცზარის მაან-მიუნს (გუბერნატორს) შემდეგი დეპეშა გაუგზავნია 9 ივლისს მთავარ ინჟინრის იუგოვიჩისათვის: «ჩვენ ტერიტორიაზე მყოფ თქვენ ინჟინრებს და მუშებს შემლების და გვარად კიფარავთ და მათგან რამდენიმე ათასი უვნებლად გადავიდა საზღვარზე დასავლეთისაკენ. ჭარბინში ჯერ კიდევ ბევრია კაცები და ქალები, მოხუცები და ბავშვები. მოგრიგეები, ჯარის კაცები და მუშები მეტად უკმაყოფილონი და გაბრაზებულნი არიან: მათ სურთ თავისი გაიტანონ. მე, მაან-მიუნი, მხედველობაში ვიღებ, რომ, რადგანაც ომი გამოცხადებულია, ერთმანეთს თავს დავესხმით; რაც შეეხება მშვიდობიან მცხოვრებლებს, ვაჭრებს, მოხუცებს და ბავშვებს, როგორ შეიძლება, რომ ისინი ამოჟლეტილ იქმნან. აი ამიტომ მე სასტიკი ბრძანება მივეცი ყველა ჯარებს და ვურჩიე მოგრიგეებსა და მცხოვრებლებს, რათა არ გადავიდნენ მდინარის მეორე ნაპირზე უაზრო ჟლეტისათვის და არ იმოქმედონ წინააღმდეგ ცის ვეთილ ნებისა. ჩემის აზრით, ომი დიდი ხანია გამოცხადებულია.

ხელუნ-კიანგის პროვინციაში სრული მშვიდობიანობა და წესრიგი სუფევს და ქალაქი ჭარბინი სრულებით უვნებელია. და ეს განა ცხადად არ ამტკიცებს ჩემს აზრს? მოგრიგეები და ჯარის კაცები დრტვინავენ ჩემ წინააღმდეგ და ამბობენ, რომ მე, მაან-მიუნს, თქვენი მხარე მიჭირავს, ამიტომ გაჩერებ მცხოვრებლებსა და ჯარს. თქვენ კი ამავე დროს ჟლეტთ უთვალავ ჩინელებს და ანადგურებთ მდინარის ჩრდილოეთით მდებარე სოფლებს და აიძულებთ მცხოვრებნი წყალში გადაცვივდნენ. როგორ შეგიძლიანთ თქვენ იხმაროთ ამ გვარი სიმკაცრე? საჭიროდ მიმაჩნია გაუწყოთ, რომ ეს ომი შედეგია მთელი ერის აჯანყებისა და ამბოხებისა. აჯანყების დაცხრობა და წესიერების ჩამოგდება არ შეუძლიან არც იმპერატორს და არც მე, მაან-მიუნს. მოგრიგეთა რიცხვი მატულობს დიდის სიჩქარით, ასე რომ ადვილად შესაძლებელია ხაბაროვსკი და სხვა ქალაქები გადაწვან. მაგალითად, ის სამწუხარო ფაქტები, რომელნიც მუკდენის რკინის გზაზე და ეკლესიებში მოხდა, და მეხო, რომელმაც მოსპო ხარბინის აღმოსავლეთით მდებარე რკინის გზა, არასოდეს ადამიანის ნებით არ მოხდებოდა; და რადგანაც ეს უბედურება მოხდა, თქვენ განგების წყალობით, უნდა ასცდეთ იარაღს. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ბრძანებას მისცემთ თქვენ ჯარებს მამაცურად იბრძოლონ, მაგრამ ამასთანავე იმათაც უბრძანებთ, რომ უაზროდ უდანაშაულო ხალხის სისხლს ნუ დაღვრიან. თუ ხარბინში მყოფი კაცები და ქალები წასვლას მოისურვებენ, დაუყოვნებლივ უნდა გავიდნენ ქალაქიდან. მე გავეცი სასტიკი ბრძანება, რომ დაუბრკოლებლად გაუშვან ის რუსის გემები, რომლებზედაც უიარაღო ხალხი იქნება. ველი თქვენს დაუყოვნებლივ პასუხს და ამასთანავე გთხოვთ კარგად მოისაზროთ იგი, შემდეგ დაგვიანებული სინანულის ასაცდენად. სხვათა ხელუნ-კიანგის მაან-მიუნი».

ინჟინერ იუგოვიჩმა ამაზედ ის უპასუხა, რომ ომი გამოცხადებული არ არის და რომ მაან-მიუნი იქნება პასუხის მგებელი, თუ იგი ომს დაიწყებს, რაც მისი საქმე სრულებით არ არის, ამასთანავე ატყობინებს მაან-მიუნს, რომ თვითონ იგი და რამდენიმე ინჟინერი დარჩებიან ჭარბინში თავ-თავიანთ პოსტებზე, რადგანაც მათ არა აქვთ უფლება არც მათი მიტოვებისა და არც ომის გამოცხადებისა.

ხარბინში ეხლა 15,000 რუსი იმყოფება, ამათგან ნამდვილი ჯარის კაცი 1000-ია. გენერალი სახაროვი ჩქარის ნაბიჯით მიდის ჭარბინში მყოფთ გამოსახსნელად: დღეში მისი ჯარი 50 ვერსტს გადის. გერმანიისა და ინგლისის მთავრობას გადაუწყვეტიათ არ მისცენ ჩინეთს მისგან შეკვეთილი სამხედრო გემები, სანამ ჩინეთში აჯანყება იქნება და წესიერება დარღვეული.

∝ როგორც შანხაიდან იტყობინებიან, ინგლისის ესკადრისა და აგრეთვე სხვა სამხედრო გემების აქ მო-

სვლას დიდი უსიამოვნება გამოუწვევია ქალაქში. ადმირალ სეიმურმა დეპეშით შეატყობინა ნანკინის მეფის მოადგილეს, რომ იგი მოვიდა შანჭაიში დიდი-ბრიტანიის ქვეშევრდომთა დასაცველად.

∝ სან-სინის აღების შემდეგ (14 ივლისს), გენ. სახაროვი წინ წავიდა. ჭარბინში მას დღე დღეზე ელოდებიან. ცოტა ხნით შეაჩერებენ სახაროვს ხულან-ჩელესთან, სადაც ჩინელები არიან თავ-მოყრილნი, მაგრამ აქ სახაროვის რაზმი, უთუოდ, ჩაზაგოვისას შეუერთდება. ჩინელებმა ამ უკანასკნელ დროს რამდენჯერმე სცადეს შებრძოლება, მაგრამ ყოველთვის საშინლად დამარცხებულნი უკუ-ქცეულ იქმნენ.

∝ ადმირალ სეიმურის და მთავარ-სარდლის გეზლის ბრძანებით, ჩინეთის ფლოტი თუ საომრად მზადებას დაიწყებს, მაშინვე მას იარაღს აჰყრიან.

∝ ტოკიოში მოსულა ცნობები, რომ პეკინის საელჩოები ყველა გადამწვარა. არც ერთი მეფის მოადგილისა აქ არა სჯერათ-რა, რადგანაც, როგორც იაპონელ კონსულები იტყობინებიან, მათ თურმე პეკინიდან ნაბრძანები აქვთ ატყუილონ უცხოეთის წარმომადგენლები; იაპონელ კონსულებს ამას დამამტკიცებელი საბუთებიც მოჰყავთ. ნანკინისა და კანტონის მმართველობებს ყოველ-დღე მიწერ-მოწერა აქვთ პეკინთან, მოსდით იქიდან ბრძანებები და ასრულებენ ყოველს იქიდან მოსულ განკარგულებას. მაგალითად, დამტკიცებულია, რომ ნანკინის მმართველმა გაგზავნა პეკინში ოთხი ტრანსპორტი ჯარი და საომარი მასალა. ნანკინში დიდი მზადებაა, ვითომ და «მოკრივეთა» აჯანყების წინააღმდეგ. აქედანვე იგზავნება ჯარისთვის პეკინში სურსათი. ეგევე ამბავი ხდებოდა კანტონში და ეხლაც ხდება ლი-ხუნ-ჩანგის წასვლის შემდეგ. ერთის სიტყვით, პროვინციის მმართველებს ძალიან ახლო დამოკიდებულება აქვთ პეკინთან და ყველაფერი იციან.

∝ რუსეთის ჯარები შეუდგნენ ტიანცზინიდან პეკინისაკენ რკინის გზის გაყვანას ჯარების იქეთკენ გადასაზიდავად. ტიანცზინიდან პეკინამდე 8 გამაგრებული ბანაკია; საომარი მასალა პეკინიდან მოდის. თვითონ პეკინში ძლიერი არტილერიაა და 80,000 ჯარის კაცი; პეკინამდე-კი 65,000.

∝ გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს განზრახვა აქვს დაესწროს იტალიის მეფის დასაფლავებას.

∝ ლორდების პალატაში მარკიზ სოლსბერიმ მწუხარ-მეტყველური და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა იმ საზარელი ბოროტ-მოქმედების გამო, რომლის მსხვერპლი იტალიის მეფე ჰუმბერტო შეიქმნა. სოლსბერის შეხედულებით, ამ გვარი მკვლელობა მიმართულია არა წინააღმდეგ მართველობის რომელიმე განსაზღვრული ფორმის წინააღმდეგ, არა,—იგი გამოწვეულია ავადმყოფური პატივ-მოყვარეობით, სახელის შექმნის მანიით. სოლსბერი დარწმუნებულია, რომ საზოგადოება შემცდარი იყო, როცა იგი ასე რბილად ეპყრობოდა ამ გვარ დამნაშავეთ. ლორდ კიმბერლეი იმ აზრისაა, რომ მეტი თვალ-ყური უნდა ადევნონ საერთა-შორისო ანარქიზმს და უფრო სასტიკი ღონის-ძიებანი იქმნენ შემოღებული მათ წინააღმდეგ. პრესსაც ამავე აზრის არის.

## ახალი ამბავი

✦ გაზ. „მოსკოვსკი ვედომოსტ.“ სწერენ შემახიდან: „შემახის ახლოს რამდენიმე ადგილას აღმოჩნდა ოქროს მადანი. პირველი მიმგნები ამ მადნისა ერთი ტყის მცველი სომეხია; მან შეკრიბა ერთი ვედრო „საეჭვო“ მიწისა და გაუგზავნა ერთ თავის მეგობარს (ესეც სომეხია) ბაქოში; მეგობარმა გარეცხა გამოგზავნილი მიწა და აღმოჩნდა კაი ძალი ოქრო. დაუყოვნებლივ განცხადება შეიტანა სათანადო დაწესებულებაში, და შემდეგ პეტერბურგში გასწია ოქროს მადნიანი მიწის კარგ გამოკვლევისათვის.

ოქროს მადნის აღმოჩენის ამბავი მალე გავრცელდა, თუმცა პირველი მპოვნელი ძალიან სცდილობდნენ, საქმე საიდუმლოდ მოეგვარათ. გაჩნდნენ შემახაში ოქროს მძებნელები, და არ გასულა ერთი თვე, რომ ოთხმა უბრალო სპარსელმა ნახა ასეთი ადგილი. ამათაც შეიტანეს სადაც საჭირო იყო განცხადება. ამ მეორე აღმოჩენამ ყველა დაარწმუნა, რომ პირველი აღმოჩენა შემთხვევითი არ ყოფილა და რომ აქ მიწაში მართალი ოქროს მადანია. ასე რომ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის „ნავთის წარმოებით გატაცების“ შემდეგ, მოელის „ოქროს წარმოებით გატაცება“, რომელიც პირველზე უფრო ძლიერი იქნება“-ო, ამბობს ხსენებული გაზეთის კორესპონდენტი.

✦ ტფილისის **რეალური სასწავლებელი** აცხადებს, რომ იმ პირთ, ვისაც ხსენებული სკოლის პანსიონის აღმზრდელობა ჰსურს, უნდა წარმოუდგინოს სკოლის დირექტორს თხოვნა დიპლომით. აღმზრდელის ჯამაგირი—360 მანეთია; პანსიონში იქნება 4 აღმზრდელი და ერთი რეპეტიტორი. აღმზრდელობა სახელმწიფო სამსახურად არ ითვლება.

✦ გუშინ, 25 ივლისს, დაბრუნდა ტფილისში აბასთუმნიდან ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი **სტეფანოვიჩი**.

✦ მომავალ წლიდან **ველოსიპედებს გადასახადი დაედებათ**. ეს გადასახადი ყველა ქალაქებისათვის იქნება 5 მანეთი.

✦ აქამდე რუსეთის იმპერიაში **ქრისტიანობის გავრცელების** საქმისათვის ყოველ წლიურად გადადებული იყო 20,000 მანეთი. ახლა კი, უმაღლესის ბრძანებით, ამ საქმისათვის გადაიდება ყოველ წლივ 30,000 მანეთი.

✦ სამეურნეო **სკოლების მასწავლებლებად მიიღებიან**, სასულიერო მთავრობის განკარგულებით, ის პირები, რომელნიც ისმენდნენ ექვსი თვის განმავლობაში გაკვეთილებს სასულიერო სემინარიასთან ან სხვა რომელიმე მეორე ხარისხის სკოლასთან არსებულ სამაგალითო სკოლაში და რომელთაც ამ გაკვეთილების მოსმენის შემდეგ გამოსაცდელი გაკვეთილი მისცეს.

✦ მანგლისში წელს თურმე ხშირია წვიმები, ასე რომ სააგარაკოდ წასულები იძულებულნი არიან სულ სახლში ისხდნენ.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, მოსკოვის სამეურნეო საზოგადოებას განზრახვა აქვს დააარსოს **ქალთა სამეურნეო ინსტიტუტი** იმ მამულში, რომელიც პერლოვმა უანდერძა ხსენებულ საზოგადოებას. განსაკუთრებულს კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ ინტიტუტის წესდების პროექტის შედგენა, უკვე შეუდგენია იგი, და ამ დღეებში წარდგენილ იქმნება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში დასამტკიცებლად.

✦ 24 ივლისს ტფილისის გუბერნიის ბეითალს ბ-ნ მაკაროვს ამბავი მოსვლია, რომ თელავის მაზრაში **საქონლის ჭირი გაჩენილა**. ამ გვარად ეხლა ტფილისის გუბერნიის ოთხ მაზრაშია საქონლის ჭირი: ბორჩალოს, გორის, თელავისა და ტფილისისაში.

✦ მოხისიდან იწერებიან: „რადგანაც აქ **სახაზინო ადგილები** თანასწორად არ იყო დანაწილებული ადგილობრივ გლეხთა შორის, ბ-ნ მ. მაჩაბლის შეგონებით და დახმარებით, შარშან სოფლელთა ყრილობამ დაადგინა მოეხდინა ადგილების ახალი განაწილება, მაგრამ ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას მხოლოდ ეხლა შეუდგნენ. საზოგადოებისაგან ამორჩეულმა 9 კაცმა უნდა გაყოს მთელი მიწა, „ღირსებისა და სოფლიდან სიშორის მიხედვით“, რამდენიმე ნაჭრებად, რომელთა შესახებაც წილი უნდა იყარონ სოფლელებმა და ისე მიიღონ თავიანთი კუთვნილი ადგილი, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ამორჩეულ პირების მოვალეობაა კიდევ, თვალ-ყური ადევნონ, რათა ყველამ მარტო მიზომილ ადგილით ისარგებლოს და გაყიდვასა და დაგირავებას ადგილი არა ჰქონდეს. ამისათვის შემოღებული იქნება ცალკე წიგნი, სადაც აღნიშნული იქმნება,—ვის რამდენი და რომელი ადგილი შეხვდა.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა ტფილისის საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება ა. ს. პუშკინის სახელობაზე.

## წესდების პროექტი *)

(დასასრული)

### VIII საზოგადოების საქმეთა მართვა-გამგეობა.

§ 35. საზოგადოების საქმეებს განაგებენ: ა) გამგეობა, ბ) ზედამხედველი კომიტეტი და გ) საზოგადო კრება.

### გამგეობა.

§ 36. გამგეობა შესდგება არა ნაკლებ 4 წევრისაგან, რომელთაც საზოგადო კრება დაფარულის კენჭის ყრით ირჩევს საზოგადოების ნამდვილ წევრებთაგან ორი წლის ვადით.

§ 37. საზოგადო კრება ირჩევს იმავე ვადით და იმავე წესით იმდენს კანდიდატს, რამდენიც გამგეობის წევრი იქნება; კანდიდატები წევრობის მოვალეობას გასწევენ, თუ გამგეობის რომელიმე წევრი ავად გახდა, ან გარდაიცვალა, ან საზოგადოებიდან გამოვიდა.

§ 38. გამგეობის წევრნი თავიანთ შორის ირჩევენ თავმჯდომარესა და კასსირს.

§ 39. საზოგადო კრებას ნება აქვს ყოველთვის დაითხოვოს ან მთელი გამგეობა ან რამდენიმე მისი წევრი და კანდიდატები, როგორც სარევიზიო კომისიისა და ზედამხედველ კომიტეტის წარდგენილებით, ისე საზოგადოების წევრთა $^{1}/_{5}$-ის თხოვნით. დათხოვნა დაფარულის კენჭის ყრით უნდა მოხდეს და დათხოვნილთა მაგიერ მაშინვე უნდა იქმნან არჩეულნი ახალი წევრები და კანდიდატები.

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1191.

§ 40. გამგეობის მოვალეობას შეადგენს: ა) მიწერ-მოწერა იქონიოს საზოგადოების საქმეთა გამო ყველა დაწესებულებებთან; ბ) მიიღოს და შეინახოს და საჭიროებისამებრ გასცეს ფულები და პროცენტიანი ქაღალდები; გ) მიიღოს წევრები; დ) მიიღოს თხოვნები შემწეობისა და სესხის შესახებ; ე) დაუყოვნებლივ დაეხმაროს წევრთ საგანგებო შემთხვევის დროს (ავადმყოფობის დროს გაუგზავნოს ექიმი, უყიდოს წამალი, სიკვდილის შემდეგ მისცეს დასამარხი ფული და სხვა); ვ) დაეხმაროს უმუშაოდ დარჩენილ წევრებს სამუშაოს მოძებნაში; ზ) შეაგროვოს ცნობები, თუ რა მიზეზებით დარჩა უსაქმოდ წევრი; თ) აწარმოვოს საზოგადოების ანგარიშები, საქმეები და დავთრები და აგრეთვე შეადგინოს ანგარიშები და ხარჯთ-აღრიცხვები.

§ 41. როდესაც საზოგადოების საქმე საკმაოდ გადიდდება, საზოგადო კრებას შეუძლია დაუნიშნოს გამგეობის წევრთ ჯილდო ან ჯამაგირი, ან მოიწვიოს კანტორშჩიკი და ბუჰგალტერი.

§ 42. გამგეობა იმყოფება ტფილისში; მას აქვს თავისი საკუთარი ბეჭედი.

### ზედამხედველი კომიტეტი

§ 43. ზედამხედველი კომიტეტი შესდგება 10 წევრისაგან და 5 კანდიდატისაგან, რომელთაც ყოველ წლივ ირჩევს საზოგადო კრება დაფარულის კენჭის ყრით. კომიტეტი იკრიბება ყოველ თვე ერთხელ მაინც.

§ 44. ზედამხედველ კომიტეტის მოვალეობას შეადგენს: ა) გადაწყვეტა ყველა საკითხებისა შემწეობის მიცემის შესახებ; ბ) გადაწყვეტა ყველა იმ საკითხებისა, რომელთ გადაწყვეტა აღემატება გამგეობის უფლებას; გ) დანიშვნა საგანგებო საზოგადო კრებათა; დ) თვალყურის გდება, რომ წიგნები და დავთრები სწორედ იწარმოებოდნენ, და ყოველთვიური რევიზია კასსისა; ე) გამგეობაზე საჩივრების განხილვა; ვ) საზოგადოთ, იხილავს საქმეებს, რომელთაც მას წარუდგენს გამგეობა და აგრეთვე ხელს შეუწყობს უთანხმოების მოსპობას წევრთა შორის მათი პროფესსიის საქმეების გამო.

შენიშვნა. ზედამხედვ. კომიტეტი თავის მსჯავრსა სდებს ყველა იმ მოხსენებას, რომელსაც გამგეობა საზოგადო კრებას წარუდგენს.

§ 45. ზედამხედვ. კომიტეტის გარდაწყვეტილება ნამდვილად ითვლება, თუ მის სხდომაზე იყო არა ნაკლებ 7 წევრისა ან კანდიდატისა.

### საზოგადო კრება.

§ 46. საზოგადო კრება ორნაირია: ჩვეულებრივი და საგანგებო.

§ 47. ჩვეულებრივ კრებას იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ; საგანგებო კრება კი მოხდება, რამდენჯერაც საჭირო იქნება ან სარევიზიო კომისიის, ან ზედამხედველ კომიტეტის გარდაწყვეტილებით, ან საზოგადოების წევრთა $1/_5$-ის თხოვნით.

§ 48. ყოველ წევრს საზოგადო კრებაზე მხოლოდ ერთი ხმა აქვს და მისი გადაცემა სხვისთვის არ შეუძლიან.

§ 49. საზოგადო კრება კანონიერად ითვლება, თუ მას ესწრება არა ნაკლებ $1/_3$ ყველა ნამდვილ წევრთა. თუ ერთი კრება არ შესდგა, ერთის კვირის შემდეგ მოწვეულ უნდა იქმნას მეორე, რომელიც კანონიერად ითვლება, რამდენი წევრიც უნდა მოვიდეს.

§ 50. საზოგადო კრება სწყვეტს საქმეებს უბრალო უმეტესობით.

შენიშვნა: თუ კრების სამმა წევრმა მოითხოვა, საქმე დაფარულის კენჭის ყრით უნდა გათავდეს. ხარჯთაღრიცხვა და ანგარიშები დამტკიცებულ უნდა იქმნან დაფარულის კენჭის ყრით.

§ 51. საზოგადო კრების დაწყებისთანავე კრება ირჩევს წევრთა შორის კრების თავმჯდომარეს. კრების თავმჯდომარედ არ შეიძლება იქმნენ გამგეობის თავმჯდომარე და წევრები.

§ 52. საზოგადო კრების საქმეს შეადგენს განხილვა და გარდაწყვეტა ყველა იმ საკითხებისა, რომელთა გარდაწყვეტაც აღემატება გამგეობისა, ზედამხედველ კომიტეტის და სარევიზიო კომისიის უფლებას, სახელდობრ: ა) არჩევა გამგეობის, ზედამხედველ კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათის კანდიდატებისა; ბ) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვისა, გამგეობის მოხსენებათა და განცხადებათა, ანგარიშებისა, ზედამხედველ კომიტეტის და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა; გ) მოგების განაწილება და აღნიშვნა იმისა, თუ სად უნდა ინახებოდეს საზოგადოების თანხები; დ) სავალდებულო გარდასახადთა რაოდენობის შეცვლა; ე) სესხის ვადებისა და რაოდენობის აღნიშვნა და აგრეთვე სარგებლის რაოდენობის შეცვლა; ვ) ნამდვილ წევრთათვის მუდმივ შემწეობის (პენსიის) დანიშვნა; ზ) არჩევა საპატიო წევრთა; თ) განხილვა საჩივრებისა გამგეობაზე და ზედამხედველ კომიტეტზე, გამგეობისა, ზედამხედველ კომიტეტისა და სარევიზიო კომისიას შუა მომხდარ უთანხმოების განხილვა; თ) წევრების გამორიცხვა საზოგადოებიდან და აგრეთვე გარდაწყვეტა იმისა, თუ ვინ უნდა იქმნას სამართალში მიცემული საზოგადოების ფულისა ან ქონების გაფლანგვისათვის; ი) გარდაწყვეტა საკითხისა იმის შესახებ, რომ სათადარიგო თანხიდან გადადებულ იქმნას ფული საწარმოებელ თანხის გაძლიერებისათვის; კ) დაარსება, დახურვა ან იჯარით აღება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებისა; ლ) შეძენა და გაყიდვა უძრავ ქონებისა; მ) დამტკიცება წესებისა და ინსტრუქციებისა საზოგადოების მმართველ ორგანოებისათვის; ნ) გამგეობის წევრთათვის ჯილდოს, ან ჯამაგირის დანიშვნა; ო) განხილვა წინადადებათა წესდების შეცვლის შესახებ.

§ 53. საზოგადო კრების დადგენილებანი უნდა ჩაიწერონ ამისთვის საგანგებოდ დანიშნულს წიგნში და ხელმოწერილი უნდა იქმნან საზოგადო კრების თავმჯდომარისა და გამგეობის მიერ.

### სარევიზიო კომისია

§ 54. სარევიზიო კომისიას ყოველ წელს ირჩევს საზოგადო კრება ნამდვილ წევრთაგან დაფარულის კენჭის ყრით.

შენიშვნა. კომისიის წევრთა და მათს კანდიდატებთა რიცხვი აღინიშნება საზოგადო კრების მიერ.

§ 55. სარევიზიო კომისიის მოვალეობას შეადგენს: ა) თვალ-ყურის გდება, რომ ეს წესდება მტკიცედ იქმნას დაცული; თვალ-ყურის გდება, რომ აღსრულებულ იქმნან ზედამხედველ კომიტეტისა და საზოგადო კრებათა კანონიერი დადგენილებანი და ანგარიშებისა და საქმის წარმოების წეს-რიგი; ბ) წიგნების, საბუთების, ანგარიშების, ხარჯთ-აღრიცხვის, დავთრების, კასსის და სარგებლიან ქაღალდების შემოწმება-განხილვა და აგრეთვე საზოგადოების ყველა ქონებათა და საქმეთა.

§ 56. სარევიზიო კომისიის წევრები და აგრეთვე ზედამხედველი კომიტეტისა უსასყიდლოდ ემსახურებიან საზოგადოებას.

### IX საზოგადოების დახურვა

§ 57. თუ რაიმე მიზეზებისა გამო საჭიროდ ცნობილ იქნება საზოგადოების დახურვა, მაშინ ამის შესახებ უნდა მოხდეს საზოგადო კრების დადგენილება; ამ კრებას უნდა დაესწროს ნამდვილ წევრთა $2/_3$-ის არა ნაკლები და გარდაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს დამსწრე წევრთა ორ მესამედმა. საზოგადოების თანხები და ქონების გაყიდვიდან დარჩენილი ფულები უნდა მოხმარდეს იმ საქმეს, რომელსაც უჩვენებს თვით საზოგადო კრება და რომელიც შესაფერი იქნება საზოგადოების მოღვაწეობა—საგნისა. საზოგადოების დახურვის შესახებ განცხადება უნდა დაიბეჭდოს გაზეთ „კავკაზ“-ში და „პრავიტ. ვესტნიკ“-ში და ამბავი უნდა ეცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტფილისის გუბერნატორის შემწეობით.

## საღამოს დეპეშები

25 ივლისი

**ირკუტსკი.** აქ მოვიდა ახალი გენერალ-გუბერნატორი ა. ი. პანტელეევი. გენერალ-გუბერნატორი მოვიდა საკრებულო ტაძარში და ეპისკოპოსთან. ზატემნო-კენტიევის მონასტერში თაყვანი-სცა წმ. ინოკენტის ნაწილებს.

**ვაშინგტონი.** კაპიტანი ტაუსი სამხედრო გემიდან „იორაკტაუნიდან“ დეპეშით იტყობინება 20-ს ივლისს ჩიფუდან, რომ არა ოფიციალურის ცნობით, ინგლისის გემის „ფემის“ კონტრ-ადმირალისა კვირას, დილის სამიდან $10^1/_2$ საათამდე იყო ბრძოლა პეიც-ციანთან, რომლის დროსაც შეერთებულ ჯარებს მოუკლეს და დაუჭრეს 1200 კაცი. ჩინელებმა უკან დაიწიეს.

ადმირალი რემეი იტყობინება ჩიფუდან 24 ივლისს, რომ მას მოუვიდა თუმცა არა ოფიციალური, მაგრამ სანდო ცნობა, რომ 16 ათასი კაცისაგან შემდგარი შეერთებული ჯარი 23 ივლისს გათენებისას შეებრძოლა ჩინელებს პეიც-ციანთან.

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა.

რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება გოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენჰაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

საფოსტო მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

საფოსტო მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საავგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

---


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

# გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

მან. კაპ.

თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . 1— »
თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . . . «—50
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . . «—10
ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პიკვლიონიძე) . . «—20
თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი:
I ტომი . . . . . . . «—70
იგივე II ტომი . . . . . . . «—60
იგივე III ტომი . . . . . . . «—60
იგივე IV ტომი (ორ წიგნად) . . . . . «—80
სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . . . «—10
თხზულებანი აკაკისა I ტომი . . . . . . «—60
იგივე II ტომი . . . . . . «—60
თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი . . . . «—60
სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა . . . . «—40
საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი . . «—20
აივენგო ვალტერ სკოტისა . . . . . . . «—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . . . «—15
სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა . 1—20
ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა . . 1—50
რძე მისივე . . . . . . . . . . 1—50
სიბრძე ბალავარისა . . . . . . . . «—30
ცეცხლითა და მახვილითა . . . . . . «—80
დასტურ-ლამა . . . . . . . . . «—10

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

ნაწილი I საერო კრება . . . . . . . . 60 კ.
იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . . 75 „
ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი. . . . . 60 „
იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . 75 „
ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა } . 1 მ. 20 „
და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი }
იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . 1 მ. 50 „
ბრძოლები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . 30 „
ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . . 30 „

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Іюля 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.